პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 130 (19572) ◆ ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ამ წლის იანვარსა და მაისში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს სახალხო მეურნეობაში სტატისტიკური აღგარიშგების ორგანიზაციის გაუმჯობესების, იმ მონაცემების შეგროვების აღკვეთის საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს სახელმწიფო აღგარიშგება.

აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი აღრიცხვასა და აღგარიშგებაში, რომლებსაც მოსდევს საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაკების გაუმართლებელი გადამეტებითობა სხვადასხვა აღგარიშისა და ცნობის შედგენით. სტატისტიკის ორგანოებს პარალელურად ერთსა და იმავე მონაცემებს აგროვებენ სამინისტროები და უწყებები, კავშირო სამრეწველო გაერთიანებები, მართვის დარგობრივი ავტომატიზებული სისტემების აპარატი და აღგილობრივი ორგანოები. ისინი აგროვებენ აგრეთვე დიდი მოცულობის ინფორმაციას ნებისმიერი ფორმების მიხედვით.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ბევრად იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო არ აბორიცელებს სათანადო ღონისძიებებს სტატისტიკური აღგარიშგების შეცირებისა და რაციონალიზაციისათვის, არ იჩენს საკირო სიბეჯითესა და პრინციპულობას არსებული ზედმეტობის აღმოფხვრაში.

დიდძალი მონაცემების შეგროვების მანკიერი პრაქტიკა, რომელიც გავრცელდა, მოწმობს, რომ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დარგების ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. აღგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ზნირად არათუ არ ებრძვიან ზედმეტობას, არამედ თვითონაც აგროვებენ ვრცელ, მათ შორის ყოველდღიურ ინფორმაციასაც, რომელიც დაკავშირებული არ არის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ნამდვილ ამოცანებთან. აღგარიშგებით გადამეტებითია, ერთი და იგივე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების დუბლირება წარმოშობს ქაღალდების უმაქნის ნაკადს, არამეგეს დროს სამეურნეო ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და სამმართველო აპარატის მუშაკებს.

საჭიროდ არის მიჩნეული განხორციელდეს სტატისტიკური აღგარიშგების შემცირების, მასში მკაცრი სახელმწიფო წესრიგის დამყარების, ამ მუშაობაში სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს როლის გაძლიერების ღონისძიებანი. სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აღგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ გამოავლინონ და აღმოფხვრან დადგენილი წესით დაუმტკიცებელი აღგარიშგება, მკვეთრად შეამცირონ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსთან შეთანხმებით მართვის დარგობრივ ავტომატიზებულ სისტემებში შესაგროვებელ ცნობათა ნუსხა, აგრეთვე დროებითი ოპერატიული აღგარიშგება, რომელსაც სსრ კავშირის სამინისტროები ამტკიცებენ. საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს აეკრძალათ წარადგინონ აღგარიშგება, თუ მას არა აქვს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სანქცია. ყურადღება მიეპყრო აღრიცხვისა და აღგარიშგების ხარისხის გაუმჯობესების, მათი ობიექტურობისა და სარწმუნოობის გაძლიერების საკიროებას.

ამა წლის მაისში კონტროლის წესით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სტატისტიკური აღგარიშგების შემცირების წინაშე გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ. სახელმწიფო აღგარიშგების მოცულობა დაახლოებით ორჯერ შემცირდა, მაგრამ მოღიანად აღგარიშგება, განსაკუთრებით დარგობრივი, კვლავ დიდია, მის ორგანიზაციას კი შემდგომი სრულყოფა სჭირდება:

ბევრი სამინისტრო და უწყება, პარტიული კომიტეტი, აღგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანო არადამაკმაყოფილებლად ასრულებს გადაწყვეტილებებს გაერთიანებებისა და საწარმოებისგან უკანონო აღგარიშგების შეგროვების შეწყვეტის შესახებ. გრძელდება წვრილმანი მეურვეობა გაერთიანებების, საწარმოების, შშენებლობების, კოლეგიურობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ, ცდილობენ კვლავინდებურად ცენტრიდან გადაწყვეტონ მათი მიმდინარე საქმიანობის ყველა საკითხი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ, გარკვეული ძვრების მიუხედავად, სახელმწიფო აღგარიშგებით გაუთვალისწინებელი მონაცემების შეგროვების უვარგისი პრაქტიკა დღემდე დაძლეული არ არის.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღგარიშგების შეგროვება დაუმტკიცებელი ფორმებით ცოცხალ ორგანიზატორულ საქმეს ცვლის ქაღალდმთხზველობით, ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მეთოდებით, ხელს უშლის საწარმოებისა და მათი შრომითი კოლექტივების დამოუკიდებლობის განვითარებას, მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, მუშაკებს სწყვეტს წარმოების განვითარებისა და მისი ეფექტიანობის გადიდების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას.

ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, აღგილობრივი საბჭოთა ალმასკომებს მოსთხოვა განაზორციელონ აღგარიშგების შემდგომი შემცირებისა და სახელმწიფო სტატისტიკის მიელი საქმის გაუმჯობესების გადამწყვეტი ღონისძიებანი.

ყველა სახელმწიფო ორგანოს, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას კატეგორიულად აეკრძალათ ყოველგვარი ცნობებისა და აღგარიშების გამოთხოვა, რომლებსაც სახელმწიფო აღგარიშგება არ ითვალისწინებს. სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გაიუქმონ მთელი უკანონო აღგარიშგება, განაზორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი, რათა მომავალში არ დაუშვან იგი, სისტემატურად შეამოწმონ აღრიცხვისა და აღგარიშგების მდგომარეობა, მკაცრად მოჰკითხონ პირებს, რომლებიც ითხოვენ ცნობებს სახელმწიფო აღგარიშგების გადამეტებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხრეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყურადღება მიაპყრეს იმ მცდარ პრაქტიკას, როცა პარტიული ორგანოები აგროვებენ აღგარიშგებს დაუმტკიცებელი ფორმებითა და მაჩვენებლებით. მათ წინადადება მიეცათ განაზორციელონ ასეთი ინფორმაციის გაუქმების ღონისძიებანი, გააძლიერონ კონტროლი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში არსებული აღგარიშგების რაციონალური გამოყენებისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაეკალათ სისტემატურად გამოავლინონ უკანონო აღგარიშგების წარმოების ფაქტები და პასუხი აგებინონ პირებს, რომლებიც ნერგავენ ასეთ აღგარიშგებას და წარადგენენ მას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1986 წლის 13 ივლისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 4 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იტყობინება, რომ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად.

2. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა.

აღნიშნული საკითხები განხილული იქნება პარტიის XXVII ყრილობის იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც ეხება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, მათი საქმიანობის გაძლიერებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებისათვის მასების დასაზამავად, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებაში, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატებს, შრომითს კოლექტივებს, ყველა ამმრჩეველს მიმართავს თხოვნით აცნობონ, თუ როგორ მიმდინარეობს აღგილებზე მუშაობის გარდაქმნა, შეესაბამება თუ არა იგი პარტიის XXVII ყრილობის მითითებებს, რა გაკეთდა უკვე პარტიის ნოვატორული კურსის რეალიზაციისათვის, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყველგან მაღალი პრინციპულობის, მომთხოვნელობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის; როგორ იხვეწება საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, საჯაროობა და დემოკრატიზმი მათს საქმიანობაში, რა ღონისძიებები ხორციელდება საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციაში სახალხო დეპუტატთა როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გადიდებისათვის, დეპუტატისადმი ამმრჩეველთა დაინტერესებული და მომთხოვნელი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, რამდენად ეფექტიანია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება და მათი სულ უფრო ფართოდ ჩაბმა წარმოების მართვის პროცესში.

ახალი რა შეინიშნება და ხორციელდება დეპუტატების მუშაობის კოლექტიური ფორმების ორგანიზაციაში, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობაში, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის გაძლიერებაში;

იგრძნობა თუ არა ადგილებზე ადამიანებისადმი ყურადღების გაძლიერება, ზრუნვა დიდნაყოფიერი შრომის პირობების შექმნისათვის, დასვენების უკეთ ორგანიზაციისათვის, უკვე რა კეთდება სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების, შრომისათვის მორალური და მატერიალური ანაზღაურების შემდგომი სრულყოფის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სამართლიანი განაწილების, სოციალური სფეროს განვითარებაში თვისებრივი ძვრების მოხდენის მიზნით; იჩენენ თუ არა საბჭოები მეტ დამოუკიდებლობასა და ინიციატივას ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილებებისა და საჭიროებების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებაში; რა კეთდება შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ადამიანთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებისათვის, მაღალი მორალური პრინციპების სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის, უშრომელი შემოსავლის, მუქთახორობის, ალკოჰოლიზმისა და ლოთობის, საბჭოთა სამართლისა და კოლექტიური მორალის ნორმების ყოველგვარი დარღვევის აღკვეთისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ყურადღებით განიხილავს ყველა შემოსულ წინადადებას, შენიშვნასა და სურვილს და გაითვალისწინებს მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დოკუმენტების შემუშავების დროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოითხოვა, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითმა ორგანოებმა ძირეულად გარდაქმნან მუშაობა ამ მიმართულებით. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ მიიჩნიონ უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და აღმზრდელობითს ამოცანად, შეიმუშაონ და განახორციელონ „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში წამოყენებულ მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

განიხილეს იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცხაკიას რაიკომი აბორციელებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის სტილისა და მეთოდების შესაცვლელად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის რაიკომის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მუშაობა, რომელსაც იგი ეწევა ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გამიზნული პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებში, სამეურნეო ორგანიზაციებში, თითოეულ შრომითს კოლექტივში საქმიანობის დრომოჭმული მეთოდებისა და ფორმების სრული აღმოფხვრისათვის, ყველა ორგანიზაციის ძირეულ რგოლებში ძიების, პრინციპულობის, მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნისათვის, თითოეული შრომელის პერსონალური პასუხისმგებლობის, პირადი წვლილის გაზრდისათვის, პარტიის მიერ თანადგოროვე ეტაპზე წამოყენებული გარდაქმნის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, კომუნისტთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფისათვის. პარტიის ცხაკიას რაიკომს დაევალა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

შეაჯამეს სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრ ე ბ ი ს 1986 წლის პირველი კვარტალის შედეგები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დაბა იკაბიის ობიექტების საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაცემის დამატებით ღონისძიებათა შესახებ, მოიწონეს „საქმშენბამის“ სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივის ინიციატივა, რომელმაც გადაწყვიტა სადგურ იკაბიის ობიექტები საექსპლოატაციოდ გადასცეს დადგენილ ვადაზე ორი წლით ადრე — 1988 წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივნის ნ. მუმლაურის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი და კომუნისტი ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევისათვის გარიცხა იგი სკკპ რიგებიდან და გაათავისუფლა თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სკკპ წევრის, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ც. მირცხულავას ანგარიში რესპუბლიკის მელიორაციულ მიწათმოქმედებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჯერგვისათვის მუშაობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით წარმოებს გარკვეული მუშაობა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ კიდევ უფრო უნდა სრულყოფ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირეულ რგოლებთან პარტნიორობის მეთოდები და ფორმები, გაზარდონ დასანერგი სამეცნიერო ნამუშევრების ეფექტიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზე.



ამზადებენ სენაჟს

ტყიბული. (საკ. კორ.). საწირის კოლმეურნეობამ კარგად მოუარა ჭვავის ნთესს. სოფლის საკვებმომპოვებლებმა უკვე დაიწყეს შემოსული მწვანე მასის თიბვა და პირუტყვისათვის სენაჟის დამზადება. საკვების დაგროვებაში ყველას უსწრებს ის ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი საკვებმომპოვებელი გ. კუბლაშვილი უძღვება. იგი ჭვავის ნათესის ყოველი ჰექტარიდან 15-16 ტონა მწვანე მასას იღებს და ასენაჟებს.

წელს ჭვავის კარგი მოსავალი მოიწიეს ქ. ცირეკიძის, ე. გელაძის, ვ. გვენეტაძის და სხვების ბრიგადებმა. საწირელი საკვებმომპოვებლები ამ გაზაფხულზე 150 ტონა სენაჟს დაუმზადებენ საზოგადოებრივ პირუტყვს. ვალდებულების ინგარიშში უკვე დამზადებულია 50 ტონამდე საკვები.

ხობის რაიონის ჩაის კომბინატში, რომელიც საექსპორტო დანიშნულების პროდუქციას უშვებს, ძირითადად ახალსკოლადამთავრებულები მუშაობენ. აქ დამონტაჟებულია აქაური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ შექმნილი ნარევის დასახარისხებელი ახალი ტიპის მანქანა, რომლის სიმძლავრე ერთ ცვლაში 6-7 ტონაა. მანქანა მდარე ხარისხის წვრილი ნაწილაკებისგან წმენდს პროდუქციას და მას ერთგვაროვან, დაკალიბრებულ სახეს აძლევს.

სურათებზე: კომბინატის საექსპორტო ჩაის დასახარისხების სამჭრო; პროდუქცია მზად არის დამკვეთისათვის გასაგზავნად; სამჭროს ოსტატი მედეა ალანია.

ს. კილაძის ფოტო.

უმაღლესი სკოლა: თვისებრივად ახალი ეტაპი

გარდაქმნა, რომელსაც ეპოქა მოითხოვს

ახლახან პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები“. ამ უაღრესად მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩინა, თუ რა დიდი როლი განეკუთვნება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში წამოჭრილი იმ კარდინალურად ახალი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც მთელი ჩვენი ხალხის წინაშე დგას ახლა, ორი საუკუნის შესაყარზე.

ცხოვრება, ეპოქა დიდზე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კადრებს, სპეციალისტი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მთავარი ფიგურაა.

— უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კოლექტივებმა, თითოეულმა ჩვენგანმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი, განსახილველად პრესაში მისი გამოქვეყნება აღიქვეს, როგორც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისათვის პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვის ნათელი გამოხატულება, — თქვა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში **საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დავით ჩხიკვიშვილმა.**

— პროექტი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საპროგრამო ამოცანის გადაწყვეტაში სპეციალისტთა როლის, მათი თეორიული და პროფესიული, მარქსისტულ-ლენინური მომზადების ძირეული გაუმჯობ ე ს ების მეცნიერულად დასაბუთებული უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც ამზადებს ახალ, თვისებრივად განსხვავებულ ეტაპს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში.

ამ სისტემამ, მართლაც რომ, ბევრი სიკეთე მოუტანა მთელ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს. უდიდესი წარმატებები, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გადამწყვეტწილად განპირობა იმან, რომ პარტიამ მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შეძლო საკუთარი ძალებით მაღალი რანგის სპეციალისტთა მომზადება მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ დარგში. მაგრამ ცხოვრება იცვლება, წინ მიდის, ვითარდება. უკანასკნელ ხანს სპეციალისტთა მომზადების საქმეში არაერთმა გადაუჭრელმა პრობლემამ, ნაკლმა და ხარვეზმა იჩინა თავი. რა დასამლიან: ამ სფეროში დიდხანს შეინიშნებოდა გატაცება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მთავარს, არსებითს — სპეციალისტთა მომზადების ხარისხს. სერიოზული საფიქრალი გაგვიჩინა სპეციალისტთა მომზადების უსისტემო, დაუსაბუთებელმა ზრდამ. ისიც სათქმელია, რომ სპეციალისტთა მომზადების რაოდენობრივად ზრდა არ იყო შემზადებული არც პროფესორ-მასწავლებელთა პოტენციალით, არც აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

უმაღლეს სკოლაში გაუმართლებლად დანაწევრდა სპეციალობები. ვიწრო განათლების სპეციალისტთა მომზადებამ დააქვეითა სპეციალისტთა თეორიული და პროფესიული დონე.

დიდი გარჯა გვმართებს ისეთი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელადაც, როგორიც არის მოსწავლეთა გადატვირთვა ინფორმაციული სწავლებით, წარმოების პრაქტიკისაგან სასწავლებლის ჩამოშორება, საშუალო სპეციალური განათლებას, ეს კი შეუძლებელია უარყოფითს დაღს არ ასვამდეს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით გათვალისწინებული გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია უმაღლესი სასწავლებლის კვლევის ეფექტიანობის მკვეთრი გადიდება. დასახულია ბევრი მოცულობა გაიზარდოს 2-2,5-ჯერ. განხორციელდება სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნები. შეიქმნება უმაღლესი სკოლის ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო და საცდელი საწარმოო ბაზები, გაძლიერდება „კავშირი აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და მსხვილ საწარმოებთან. ამ სამი კომპონენტის ინტეგრაციის გზით შესაძლებელი გახდება ნებისმიერი ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა.

— უპირველესი და ერთ-ერთი მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც პროექტის გაცნობისთანავე ვგრძნობ, ის არის, რომ იგი გადაჭრით უარყოფს დრომოჭმულს, ტაფარეტს, ამკვიდრებს ყოველივე ნაუკეთესს, რისთვისაც დღემდე უმაღლეს სკოლას მიუღწევია, ფართო ასპარეზი ეძლევა ინიციატივიანობას და შემოქმედებითს ძიებას...

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი გაბლავთ დოკუმენტი, რომელიც სახავს უმაღლესი განათლების განვითარების რეოლუციურ გზაზე გადასვლის კოკრეტული პროგრამას. გათვალისწინებული სტრუქტურული ცვლილებები უწინარესად გულისხმობს იმას, რომ უახლოეს ხანში ჩვენ უნდა მივაღწიოთ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მიჯნებს კადრების მომზადების დონის მიხედვით.

განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ღრმა ინტეგრაცია — აი, რა უდევს საფუძვლად გარდაქმნას. მისი არსი გაწლავთ სახალხო მეურნეობის დარგებთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის პრინციპულად ახალი ტიპის ურთიერთობა, რომელიც გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის დებულებებიდან მართვის ეკონომიკური მეთოდების უპირატესი გამოყენების შესახებ. დასახულია სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზაციის, ინტენსიფიკაციისა და კომპიუტერიზაციის, მეცნიერებასთან და წარმოებასთან მისი დაახლოების კურსი. ძირფესვიანად გაუმჯობესდება სწავლებისა და აღზრდის მთელი პროცესი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სისტემა. მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების მძლავრ ბერკეტად უნდა იქცეს პროექტით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებაც, როგორიც იქნება სპეციალისტთა დიპლომისშემდგომი უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლაში ყველაფერი უნდა უკავშირდებოდეს სპეციალისტთა პროფესიული და მოქალაქეობრივი, ზნეობრივი ჩამოყალიბების უმთავრეს მიზნის და ამოცანას.

ჩვენი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ცხოვრებაში უაღრესად პასუხსაგები ხანაა — სასწავლებლების კოლექტივებმა, მათმა თითოეულმა წევრმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ და გაიაზრონ პროექტში წამოჭრილი საკითხები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათს განხილვაში. საქმიანი დისკუსია დიდად შეუწყობს ხელს იმას, რომ სისტემის ყველა მუშაკმა თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენ წინაშე დასახული საპატიო და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, სასწავლებლების კოლექტივების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებ ი ს მთელი საქმიანობის გააქტიურებაში.

საუბარი ჩაიწერა
თ. მეტრეველმა.

ვიზიტად სსრ კავშირში

საბჭოთა მთავრობის მოწვეით 3 ივნისს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი იასინ საიდ ნომანი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდსი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის მინერალური სასუქის წარმოების სამინისტროს **საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვი“** დაჯილდოვდეს **ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 3 ივნისი.

პარტიული ცხოვრება: კრიტიკა და პრაქტიკა

მედალს ორივე მხარე უნდა გაესინჯოს

დასამალი არ არის, რომ რესპუბლიკის მეცხოველეობის დარგი, რომელსაც ბევრი რთული პრობლემის გადაჭრა მოელის, ჯერჯერობით ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ წამოაყენა ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა არცთუ ურიგო სამეურნეო შედეგებს მიაღწიეს. ერთი მათგანია მაიაკოვსკის რაიონი, რომლის მშრომელებმა შეასრულეს გასული, მეთერთმეტე ხუთწლედი. ამაში ცალკერები გვარწმუნებენ.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა 243 პროცენტით შეასრულეს, ყურძნისა — 101, ხორცის — 113, რძის — 104, კვერცხის — 104,2, აბრეშუმის პარკის — 109, ხილის — 108, ბოსტნეულის — 112 პროცენტით.

ვერაფერს იტყვის კაცი: შთამბეჭდავი ციფრებია! და თუ წერილს მაინც კრიტიკული ტონი ექნება, დაე, ნურავინ გაიკვირვებს თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ დღეს უკვე აღარ შეიძლება სამეურნეო მაჩვენებლების მხოლოდ ცალმხრივი განხილვა — მედალს ორივე მხარე უნდა გაესინჯოს!

როცა რაიონის საერთო წარმატებებზე ციფრები ავალაპარაკეთ, აქ უსიტყვოდ როდი იგულისხმება, რომ ყველა მეურნეობამ სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი. მაგალითად, მაიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლეგურნეობაში შარშან გეგმის გადამეტებით აწარმოეს 14, ხოლო დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში 6 ტონა რძე. მაგრამ მათი და სხვა მოწინავეთა მაჩვენებლები ჩამორჩენილებმა გააფერმკრთალეს: ზეგანის ედენოვის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმას დააკლო 22, ზეგანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ — 15, ხოლო წითელრევის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ — 5 ტონა რძე. ესე იგი, 32 ტონა!

ჩამორჩენილი მეურნეობების მიზეზით შარშან რაიონმა ძლივს-ძლივობით შეასრულა და სულ რაღაც ოცოდე კილოგრამით გადაამეტა საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე რძის წველის წლიურ გეგმას. მართალია, ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1468-ის ნაცვლად 1657 კილოგრამი ჩამოწველეს, ხოლო წითელრხეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ დაგალებას 250 კილოგრამით გადაამეტა, მაგრამ ეს იმდენად რას წამოწევდა საერთო მაჩვენებელს, როცა ზეგანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ძლივს მიიღეს 1000, მაშინ როდესაც გეგმა 1250 კილოგრამს ითვალისწინებდა. ზეგანის ყველა ზეგანის სახელობის კოლმეურნეობის შედეგი კი არც არის სახსენებელი: გეგმა — 1235, შესრულება 945 კილოგრამი. ამიტომ ჩამორჩენაც ლოგიკური იყო: შარშან რაიონმა რძის წარმოების წლიურ გეგმას დააკლო 17 ტონა, ხოლო 51 ტონა ყველა სახის ხორცი.

სამწუხაროდ, შარშან ვერც ხბოს ნამატის მიღებით ისახელეს თავი მიაკოვსკელებმა: გეგმა — 100 ფურზე 80 სული იყო, ფაქტიურად — 67 სული ხბო მიიღეს. რაიონის ჩვიდმეტი საზოგადოებრივი მეურნეობიდან მხოლოდ ერთადერთმა — ვარციხის საბჭოთა მეურნეობამ გადაამეტა გეგმას — 87 სული. დანარჩენები ხელის გაწვდენაზეც ვერ მიუსწოლვდნენ ორიენტირს, ხოლო ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ყველაზე დაბალი შედეგი — 51 სული აჩვენა.

დიახ, დღევანდელ პირობებში უკვე აღარ შეიძლება ცალმხრივი მსჯელობა კოლექტივის სამეურნეო წარმატებებსა და გეგმების შესრულებაზე, თუ ამავე დროს ნათელი არ მოეფინა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს — როგორია რენტაბელობა, რა ჯდება წარმოებული პროდუქცია. აქაც არასაბარბეიოო ადგილი უჭირავს რაიონს. ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე გეგმით გათვალისწინებული 50 მანეთის ნაცვლად დაიხარჯა 59 მანეთი. ღორის ხორცი 60 მანეთითაა გაძვირებული, ხოლო როცა მსხვილფეხა პირუტყვზე მიდგა ჯერი, შეცბუნებულმა თვალს არ დავუჯერე და ერთი სამჯერ მაინც შევამოწმე ციფრები, ხომ არაფერი მერევა-მეთქი: გეგმა 427, ფაქტიური 724 მანეთი. რა გამოდის? ყოველი ცენტნერი საქონლის ხორცის წარმოებაზე გადახარჯულია 297 მანეთი! ცხადია, ასეთი მკვეთრი კონტრასტების შემდეგ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე რენტაბელობაზე, მოგებაზე, შრომის ნაყოფიერებაზე.

თავისთავად იბადება კითხვა: რას აკეთებენ პარტიის რაიკომი, პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები? და საერთოდ, რა სულისკვეთება და ატმოსფერო სუფევს რაიონის მეცხოველეობის სფეროში? აქვე შეიძლებოდა საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება, მაგრამ ვიფიქრე ბრალი რომ არ დაგვდოს აჩქარებასა თუ ფაქტების არათანმიმდევრულ შერჩევა-გაანალიზებაში, სიტყვას მივცემ თვით პარტიის რაიკომის 1985 წლის 12 აპრილის ბიუროს სხდომის ოქმს, სადაც ისე პრინციპულად, მასშტაბურად და რეალურადაა დახატული რაიონის მეცხოველეობის ავ-კარგი, რომ შეუძლებელია თავის შეკავება ერთობ ვრცელი ამონაწერისაგან: **„გამოზამთრების შემდინარეობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები პირველ რიგში იმის შედეგია, რომ მეცხოველეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის არასაკმარისი ღონისძიებები ხორციელდება პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც არ დაიწესეს საჭირო კონტროლი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადადების საქმეში არსებული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედებისათვის. ამასთან, პარტიული ორგანიზაციები პრინციპულად არ იბრძვიან სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში კომუნისტების, კომკავშირელების პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად და ზოგჯერ კმაყოფილდებიან ვხოლოდ სამეურნეო შედეგების ზოგადი განხილვით. შესაბამისად სუსტია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული ორგანიზაციის მიერ განწეული კონტროლის ქმედითობა, იშვიათად ტარდება მეცხოველეობის ფერმებში შემოწმება-რიდები სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერაც.**

როგორც ირკვევა, ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიულ კრებებზე მთელი პრინციპულობით არ იხილავენ საკითხებს და არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მეცხოველეობის დარგის განვითარების უზრუნველსაყოფად. პირველ რიგში ნაკლები ყურადღება ექცევა მეცხოველეობაში უგანრიგო ბრიგადების შექმნას. ასევე ცალკეული კომეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციის გეგმებში არ არის შრომის დისციპლინის განმტკიცების და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, არ ვებლის შემამზადებელი საამქროები“. ერთსა და იმავე, ყოვლად მარტივ საგანზე უკვე მერამდენედ მსჯელობს რაიკომის ბიურო. გადის შვიდი თვე და რაიონის XXXVII პარტიული კონფერენციის ტრიბუნადანაც ისევ ის ძველი, ნაცნობი ჩივილი გაისმის: **„მიუხედავად მრავალგზის მითითებისა, რეგულარულად არ მუშაობს საკვებმამამუშავებელი საამქროები, რაც ცუდ გავლენას ახდენს“.** რა ხდება ბოლოს და ბოლოს — თუ საკითხის მოგვარებას არ გაიჩნია არავითარი რეალური საფუძველი, რაღა საჭიროა მასზე სისტემატური ფუჭი მსჯელობა, ხოლო თუ ყველაფერი რეალური, საჭირო და აუცილებელია, მაშინ ვის აქვს უფლება უგულებელყოს პარტიის რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილება?! ამ მაგალითებიდან ნათელია, რომ შესრულების შეუმოწმებლობამ, ურთიერთმიმთხოვნელობის შესუსტებამ და უდისციპლინობისადმი სიმკაცრის გამოუჩენლობამ მთელ რიგ მეურნეობათა

უნდა გაესინჯოს

მოწმდება მათ მიერ მიღებული დადგენილებების შესრულება. მიმდინარე გამოზამთრების პირობებში სათანადო მუშაობა ვერ განხორციელეს საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილმა ზამთრის სტიქიასთან მებრძოლმა შტაბებმაც. პარტიული ორგანიზაციების მიერ მეცხოველეობის ფერმებში სამორიგეოდ გამოყოფილი არ იყვნენ პასუხისმგებელი მუშაკები. უფრო მეტიც, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების ერთი ნაწილით დიდთოვლიანობის პერიოდში იშვიათად დადიოდა მეცხოველეობის ფერმებში“.

ყოველივე ამან ადგილებზე გამოიწვია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტება: აი, ამის დამამტკიცებელი ერთი მკაფიო მაგალითი. მესაქონლეობის ზერელე მცოდნესაც კი კარგად მოეხსენება პროდუქტიულობის ამაღლებისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პირუტყვს შემზადებულ-გადამუშავებული საკვები მიეცეს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ეს ფერმის თითოეულმა მუშაკმაც კარგად იცის, მაგრამ პარტიის რაიკომის 1985 წლის 12 აპრილის ბიუროს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: **„მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა და დავალებისა, ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ხოლმდე ვერ გადაწყვიტეს პირუტყვისათვის საკვების შემზადებული სახით მიცემის საკითხი“.** ამონაწერის პირველივე სიტყვები არაორაზროვნულად მიგვანიშნებენ, რომ ამ მარტივ საგანზე მანამდეც ბევრი გაფრთხილება და დავალება დახარჯულა, მაგრამ რაკი სამეული არ დასდგომია, საკითხი უკვე პარტიის რაიკომის ბიუროს დონეზე განხილულა. გადის ერთი თვე და 15 მაისის ბიუროს სხდომის ოქმიც დაახლოებით იგივეს იტყობინება: **„ზოგან კვლავ არ მუშაობს ფერმაში არსებული საკვებ ბაზა, 59 მანეთი. ღორის ხორცი 60 მანეთითაა გაძვირებული, ხოლო როცა მსხვილფეხა პირუტყვზე მიდგა ჯერი, შეცბუნებულმა თვალს არ დავუჯერე და ერთი სამჯერ მაინც შევამოწმე ციფრები, ხომ არაფერი მერევა-მეთქი: გეგმა 427, ფაქტიური 724 მანეთი. რა გამოდის? ყოველი ცენტნერი საქონლის ხორცის წარმოებაზე გადახარჯულია 297 მანეთი! ცხადია, ასეთი მკვეთრი კონტრასტების შემდეგ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე რენტაბელობაზე, მოგებაზე, შრომის ნაყოფიერებაზე.**

**ეს ბოლო ნაწილი ბიუროს ოქმიდან ნებისმიერ ადამიანს, ვინ, სადაც, ოღონდ ეს ბიუროს ოქმი ხელთ ეჭირა, ეფიქრებოდა, ეფიქრებოდა, ეფიქრებოდა... ერთსა და ერთ ადგილზე ბრუნავენ ეს ადამიანები, ეს ბიუროს ოქმი ეს ადამიანები, ეს ბიუროს ოქმი ეს ადამიანები, ეს ბიუროს ოქმი

რაჭას წასვლა მირჩევნია მილიონის ქონებასა...

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲗ არ თქმულა ამ ბილი სიმღერის ეს საგულეთ სიტყვები. რაკის ხელთუქმ ბუნების სიმშვენიერის განყოველგვარი შეფასების - საურგებს სცილდება... მით უმეტ ვისაც იქაური ადგილის დედ ძეძე უწოვია, შეუძლებელია შობლიური სოფლის სიყვარ გულიდან ამოიღოს, იქაუ ერთბაშად მიატოვოს და ალარ მიიხედოს. და თუ ეს ხდება შეუბრალებელი, ოდ ᲮᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ციფრები ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲐ... ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲐ... ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲐ...

ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲣᲬᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲐ...

ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲓᲐᲒᲛᲔᲡ ᲡᲐᲫᲠᲐᲮᲘᲡᲘ ᲪᲓᲔᲑᲘ

ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ

ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ?

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ● ᲡᲐᲥᲚᲘᲡᲘ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ — ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ—ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ. ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲗᲘᲪ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲜᲘᲗᲘᲪ.“

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲪᲐ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, უწინარესად, გულისხმობს ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელთა და თანამოსაქმეთა მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას. სახელდობრ, ატმოსფერული ჰაერის დაცვა-გაჯანსაღების დიდი მნიშვნელობის შეგნებით უნდა განმსჭვალოს ყველა და თითოეული, როგორც იტყვიან, მოსწყალით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი ამ მიზნით ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებათა სრულყოფისათვის მოგვიწოდებს.

საგულისხმოა, რომ ატმოსფერული ჰაერის დაცვის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სტაციონარული წყაროების მიერ გამონაფრქვევ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, სამწუხაროდ, საავტომობილო ტრანსპორტზე ეს არ ითქმის, გაუმართავი ავტომობილების რიცხვი დღითი დღე იზრდება, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ქალაქების საჰაერო აუზის გაუჯანსაღებლობის 80 პროცენტი ავტომობილზე მოდის...

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ჯანსაღი ჰაერის დაცვა-შენარჩუნების საქმეს წარმართავენ საქართველოს სსრ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო ინსპექცია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსადგურები, ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციები და სახალხო დეპუტატთა საბჭოები (ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების განხორციელებისადმი სახელმწიფო კონტროლი ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა).

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შეზღუდვა-შემცირება თითოეული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა თუ ავტომფლობელებისაგან დიდ გულისხმიერებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გათვალისწინებას, ხოლო ზემოხსენებული ბუნებისდაცვითი ორგანოებისაგან კონტროლის გაძლიერებას და დამრღვევთა მიმართ უფრო მკაცრი სანქციების განხორციელებას მოითხოვს.

მაშ ასე, ამჯერად ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების უმწვავეს საკითხებზე მოგითხრობთ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ გამოანგარიშებით 2000 წლისათვის ყოველ ათას მცხოვრებზე 188 ავტომობილი მოვა.

ერთი მხრივ, ავტომობილიზაცია .აუმჯობესებს ხალხის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფით გავლენას იხდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სულ უფრო მწვავდება ავტომობილის ძრავების გამონამუშევარი აირით ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა. მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ერთი ავტომობილი 45-ჯერ მეტ ჟანგბადს შთანთქავს, ვიდრე ერთ კაცს სჭირდება. სპეციალისტთა მონაცემებით, ავტომობილის წლიად მოდის მავნე აირებისა და ნივთიერებების მსოფლიო გამონაბოლქვის 40-60 პროცენტი. ნახშირანგის 90 პროცენტზე მეტი, ნახშირწყალბადის 60 პროცენტზე მეტი და აზოტის ჟანგეულის 45 პროცენტი სწორედ ავტომობილის გამონაბოლქვია. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საჰაერო აუზი ძალზე გაჭუჭყიანებულია. თბილისში მისი დონე ჩვენი ქვეყნის ქალაქების საშუალო დონეს აღემატება, რაც ძირითადად ავტოტრანსპორტის მიერ გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებებით არის გამოწვეული. ქალაქის ჰაერში ნახშირანგის შემცველობა საკმაოდ მაღალია და კვლავ მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის ოთხმოცი პროცენტი ავტოტრანსპორტზე მოდის.

ეს მცირეოდენი ანალიზი ადასტურებს, რომ გარემოს და ატმოსფეროს ჰაერის დაცვის პრობლემა საარსებო საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებით, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირით ჰაერის გარემოს გაჭუჭყიანების გამო ყოველწლიურად ნაადრევად კვდება თითქმის 4.000 კაცი. მსოფლიოს ბევრ ქალაქში, სადაც ავტომობილები მეტისმეტად ბევრია, ჰაერი იმდენად გაჭუჭყიანებულია, რომ მატერიალური კულტურის ძეგლების გაფუჭებისა და ნგრევასაც კი იწვევს.

იმის გამო, რომ ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა ესოდენ აქტუალურია, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განვიხილოთ ამის მთავარი მიზეზები, ამ გაჭუჭყიანებაში ავტოტრანსპორტის ხვედრითი წილი, და განვსაზღვროთ ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება დავუპირისპიროთ ამ ბოროტებას.

პარტია და მთავრობა ჩვეში ყოველ ღონეს ხმარობენ ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვის შესამცირებლად და ბუნების დასაცავად. ეს ღონისძიებანი ასახულია ბუნებრივი სიმდიდრის, მიწების, ტყეების, წყლის აუზის დაცვის შესახებ სსრ კავშირის და .მოკავშირე რესპუბლიკების კანონებში და ამ მიზნით კოლოსალური სახელმწიფო სახსრები იხარჯება.

საქართველომ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ბუნების დაცვის კანონი. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რეალიზაციაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის დადგენილებამ „მავნე სამრეწველო გამონაბოლქვითა და ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამონამუშევარი აირით ქალაქების თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა მსხვილი სამრეწველო ცენტრების ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“.

შემუშავებულია და ხორციელდება ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ ბუნების დაცვასთან. საჰაერო აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობის გააქტიურების მიზნით 1982 წელს შეიქმნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მუდმივმოქმედი კომისია. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ასაქცევი გზების გაყვანის (მცხეთა, გორი, ჯავა, სოხუმი) მეშვეობით მთელი რიგი ქალაქების, სამრეწველო და საკურორტო ცენტრების ავტოტრანსპორტისგან განტვირთვისათვის, შენდება რესპუბლიკის დედაქალაქის ასაქცევი გზა, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, გორის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა დიდნინსტრაციული ცენტრების ცალკეულ ქუჩებში საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. ხორციელდება ღონისძიებანი ნაკლებად ტოქსიკურ საწვავზე ავტოტრანსპორტის გადასაყვანად, ჰაერში მავნე გამონაბოლქვების შესამცირებლად და ა. შ.

მაგრამ, სანამ ტრანსპორტი თხევადი სათბობით მუშაობს, ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა ყოველდღიურად სულ უფრო გამწვავდება.

სპეციალისტების აზრით, უახლოესი 20 წლის მანძილზე ბენზინიანი ძრავის მქონე ავტომობილები ავტოტრანსპორტის მთავარ სახეობად დარჩება.

ძალზე მწვავედ დგას ეს პრობლემა ჩვენი რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქისათვის. კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ვიწრო ქუჩების ქსელი დამატებითს სირთულეებს უქმნის ამ საკითხის გადაწყვეტას. ვინ არ იცის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქისა და მრავალი სხვა დიდი ქალაქის ბევრი ქუჩის გამტარუნარიანობა უკვე ამოწურა. ამ ქალაქების ბევრი სატრანსპორტო კვანძი, მოედანი თუ გზაჯვარედინი იმდენად გადატვირთულია, რომ სასწრაფო და რადიკალური არქიტექტურულ - დაგეგმარებითი ღონისძიებანი თუ არ განვახორციელეთ, კაცს ცხოვრება გაუძნელდება.

სატრანსპორტო საშუალებათა სწრაფი ზრდა საჭიროს გახდის რამდენადმე შევზღუდოთ მისი მოძრაობა, რადგან ქალაქის მცხოვრებთ სულ უფრო უმრავლესობა დედაქალაქის ქუჩებში მიმოსვლა.

ცნობილია, რომ ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის დროს, განსაკუთრებით მცირე სიჩქარეებისას, აგრეთვე ღობრთებზე მავნე გამონაბოლქვის ოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ახალი რაიონების, ახალი უბნების მშენებლობისას უახლოესი პერსპექტივისთვისაც კი არ ითვალისწინებენ გზების გამტარუნარიანობას, ეს კი აუცილებლად უნდა მიიღონ მხედველობაში საპროექტო ორგანიზაციებმა და ქალაქმშენებლებმა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვეძებთ ჯეროვნად საგზაო მოძრაობის სწორი ორგანიზაციისა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვის შესაძლებლობებს.

სამწუხაროდ, ავტომობილების ტოქსიკურ ნივთიერებათა გამობოლქვის სრული გამორიცხვა არარეალური ამოცანაა, ყოველ შემთხვევაში — უახლოეს მომავალში. მაგრამ ამ გამონაბოლქვის შემდგომი გაზრდის თავიდან აცილება, მისი არსებითი შემცირება არათუ შეიძლება, აუცილებელიცაა.

არსებობს ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების შემცირების მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამოცდილი ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომლებიც შეგვძლია ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებად დავყოთ.

პირველი შეიცავს საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებების, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფის, მძღოლთა პროფესიული ოსტატობისა და კულტურის, ამაღლების და საზოგადოების წინაშე მათი პასუხისმგებლობის გაზრდის ღონისძიებებს.

მეორე ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

—გამონამუშევარი აირის ტოქსიკურობისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად ავტოსატრანსპორტო საწარმოებში უნდა იყოს სტაციონარული საგუშაგოები ან მოძრავი ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იქნება აირანალიზატორებით და სხვა საკონტროლო-საზომი აპარატურით.

შარშან, როცა სახელმწიფო ავტოინსპექციამ 37 ათასზე მეტი ავტომობილი შეამოწმა, დიდი ტოქსიკურობისა აღმოჩნდა 17 ათასი. ატმოსფერული ჰაერის სისუფთავისათვის ყოველგვარ ბრძოლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, როცა შემოწმებული ავტომანქანების 50 პროცენტზე მეტი ფაქტობრივად ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა. მართალია, ბევრი ავტომეურნეობის ხელმძღვანელები დააჯარიმეს და დასაჯეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ამ ბოროტებას არ აღმოფხვრიან სწორედ ისინი, რომლებსაც ეს სამსახურებრივად ევალებათ.

„საქავტოტრანსის“ თბილისის № 2678 ავტოსატრანსპორტო საწარმოში შემოწმებული ავტომობილების ნახევარზე მეტს გადადებული ტოქსიკურობა აღმოაჩნდა, ხოლო „საქმედავტოტრანსის“ რესპუბლიკურ გაერთიანებაში ამ პროცენტმა თითქმის 70-ს მიაღწია. შემოწმების მასალების საფუძველზე გაკეთებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტოტრანსპორტის სამინისტროს გარდა არც ერთი სამინისტრო და უწყება არ ასრულებს ტოქსიკურობაზე სატრანსპორტო საშუალებათა რეგულარული შემოწმების პრაქტიკაში დანერგვის შესახებ მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ბევრ მძღოლსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს ელემენტარული ცოდნაც კი არა აქვს ბუნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ავტომობილის გამონამუშევარი აირის ტოქსიკური ნივთიერებათა გავლენის შესახებ.

პრობლემის გადაწყვეტას აბრკოლებს ისიც, რომ რესპუბლიკაში ათიათასობით წვრილი ავტომეურნეობაა, სადაც არავინ არ ამოწმებს დიდი ტოქსიკურობის ავტომანქანების მდგომარეობას.

ასეთ ვითარებას ვეღარ შეეგუნრგდებით. სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების უთუო შესრულება.

თუ რამდენად ჩამოვრჩით აღნიშნული პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში, იქიდანაც ჩანს, რომ „ავტოვაზტექმომსახურების“ რესპუბლიკურ ცენტრშიც კი არ არის დამყარებული ჯეროვანი წესრიგი. 13 ავტომობილიდან, რომლებიც აქ შეაკეთეს, ათს ტოქსიკური ნივთიერებათა გადადებული გამონაბოლქვი აღმოაჩნდა. უფრო მეტიც, ამ ცენტრში სპეციალისტებიც კი არ ჰყოლიათ ძვირადღირებულ აირანალიზატორზე მუშაობისათვის.

საზოგადოება „ავტომოყვარულში“ გაერთიანებული მძღოლების მნიშვნელოვანი ნაწილი თვითონ რომ იცავდეს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის ელემენტარულ მოთხოვნებს, პრობლემა შეიძლება მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო, მაგრამ ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად აღნიშნულ საკითხებზე არც კი მუშაობს. დიდი აქტიურობა არც სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანაყოფებში იგრძნობა.

სახელმწიფო ავტოინსპექციას მიეთითა მკაცრად მოჰკითხოს ავტომეურნეობებსა და მძღოლებს, სრული მოცულობით გამოიყენოს ადმინისტრაციული ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც ატმოსფერულ ჰაერს წამლავს და ფაქტობრივად საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობას ხელყოფს.

მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ 26 რეგიონში აქვთ აირანალიზატორები. სახელმწიფო ავტოინსპექციის ბევრ ქვეგანაყოფს, აირანალიზატორების უქონლობის გამო, საშუალება არა აქვს გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი მიანიჭოს კონტროლს. თბილისში, სადაც ეს უაღრესად საჭიროა, დღემდე არ დაუწყიათ სოლიდური დიაგნოსტიკური საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტი ეწევა ბენზინის ძრავების ტოქსიკურობის შესამცირებლად. სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა მანქანათა მექანიკის ინსტიტუტთან ერთად, რომლის მიზანია ავტოტრანსპორტის გამონამუშევარი აირის გასაწმენდი ნეიტრალიზატორების შექმნა.

საზოგადოებრიობა ყოველთვის მოიწონებს ნებისმიერ მეცნიერულ აზრს, რომელიც მიზნად დაისახავს გარემოს და ატმოსფერული ჰაერის დაცვა-გაჯანსაღებას.

ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ჩვენი დედაქალაქის გასაჯანსაღებლად ბევრი რამ კეთდება, მაგრამ რეზერვებიც უხვად გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს, ჩვენი დედაქალაქი დიდ და ლამაზ ბაღნარად უნდა გადაიქცეს.

როგორც ხედავთ, ჩვენ ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, რომ არა მარტო ბუნებადაცვითმა ორგანოებმა, არამედ მთელმა საზოგადოებრიობამაც შეძლებისდაგვარი წვლილი შეტანოს მომწამვლელი ნივთიერებებისაგან ატმოსფეროს გაწმენდის საქმეში. ეს ნიშნავს მაქსიმალურად ეზრუნავდეთ ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

თბილისის და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების ჰაერი შესაძლებელია და კიდევაც უნდა გახდეს უფრო სუფთა და ჯანსაღი.

3. ᲨᲐᲚᲕᲐᲠᲘ,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲖᲘᲡ ᲬᲛᲐᲕᲔ

ᲒᲐᲖᲘ სრულად იწვის. გაზით მომუშავე ავტომობილი კი გარემოს თითქმის არ აჭუჭყიანებს. სწორედ ამიტომ თბილისში (ფონიჭალა) ააშენეს ავტომანქანების გაზით გასამართი სამ ცვლად მომუშავე სადგური, რომელსაც შეუძლია ყოველდღე 500 ავტომობილს მოემსახუროს, და ეს უთუოდ დიდი შვება იქნება ჩვენი დედაქალაქის ატმოსფეროსათვის, სადაც ათიათასობით ავტომობილი დაქრის.

ფონიჭალის სადგური ორი თვეა მწყობრშია. ამ ხნის მანძილზე იგი ოცდაათი ათას ავტომობილს უნდა მომსახურებოდა, სინამდვილეში კი, როგორც ფოტოდან ჩანს, აქ საოცარი ხალვათიანობაა. დღემდე მან მხოლოდ 113 ავტომობილი მიიღო, სამაგიეროდ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სადგურის მუშაკები სამ ცვლად ისვენებენ. გაზით მომუშავე მანქანები კი ტყუილუბრალოდ წვავენ და ხარჯავენ ბენზინს, აჭუჭყიანებენ გარემოს. ჩანს, ასე ესმის ავტოსაწარმოთა ზოგიერთ ხელმძღვანელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ასე ესმის დაჩქარების სტრატეგია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ასე დაცარიელებული გამოიყურება ავტომანქანების გაზით გასამართვი სადგური.

ჯ. ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲫᲕᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ XIII მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების მომდევნო სამი შეხვედრა ასეთი შედეგებით დამთავრდა:

მატჩი. № 7. II ჯგუფი. 3. VI. მეხიკო. ბელგია-მექსიკა — 1:2 (1:2).

№ 8. IV ჯგუფი. 3. VI. გვადალახარა. ალჟირი-ჩრდილოეთ ირლანდია — 1:1 (0:1).

№ 9. VI. ჯგუფი. 3. VI. მონტერეი. პორტუგალია-ინგლისი — 1:0 (0:0).

გუშინ გვიან ღამით დამთავრდა პარაგვაი-ერაყის, ურუგვაი-გფრ-ის და შოტლანდია-დანიის გუნდების მატჩები. დღეს გაიმართება იტალია-არგენტინის, სამხრეთ კორეა-ბულგარეთის და საფრანგეთ-სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივების შეხვედრები.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ როლში დღეს ჩვენი სტუმარია 1970 და 1974 წლების მსოფლიო ჩემპიონატების შერჩევითი ტურნირების მონაწილე, სპორტის ოსტატი **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲥᲘᲠᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** რომელმაც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 49-ჯერ ითამაშა.

— მექსიკის ჩემპიონატი ეს-ეს არის იკრების ძალას. ჯერჯერობით ჯგუფური ტურნირების მხოლოდ პირველი მატჩები გაიმართა. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ის შეხვედრები, რომლებიც ვიხილეთ, უკვე ბადებს სათქმელს.

წინა ჩემპიონატებისაგან განსხვავებით, საბჭოთა ტელევიზიამ გაცილებით ფართო პროგრამა შემოგვთავაზა და, ცხადია, უფრო სრული შესაძლებლობა მოგვეცა გავიგოთ, რა ხდება მექსიკაში. აქამდე ყველა ნაჩვენები მატჩიდან (გუშინდელის ჩაუთვლელად) განცალკევებით გამოირჩევა მხოლოდ ერთი — შეხვედრა სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელშიც ჩვენმა ნაკრებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და, არა ამხანაგურ, არამედ ოფიციალურ მატჩში, ბოლოს და ბოლოს, გვიჩვენა თამაშის მაღალი კლასი.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ დიეგო მარადონას აზრით, მსოფლო ჩემპიონატებზე იყო და გრძელდება უხეში თამაში ფეხბურთის „ვირსკვლავების“ წინააღმდეგ. მან ეს განაცხადა არგენტინა-სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ. მარადონამ მსაჯებს მოუწოდა უფრო მკაცრნი იყვნენ უხეშ მოთამაშეთა მიმართ. „არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ჩვენი თამაში სამხრეთკორეელებთან ძალიან უხეში იყო, მაგრამ დროდადრო იგი ერთობ ხისტ ხასიათს იძენდა. ამგვარ ტურნირებზე მსგავსი გამოვლინებანი არ უნდა იყოს, მინდა მოვადონო მსაჯებს, რომ მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული“. მარადონას აზრით, ეს მატჩი ფეხბურთისა და რეგბის ნარევი იყო. არგენტინელთა მეწვრთნელმა კარლოს ბილარდომ თქვა: „განსაკუთრებით დაზარალდა მარადონა. ყოველი მისი სახიფათო მოძრაობა ჯარიმის დანიშვნით მთავრდებოდა“... ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ეს სურათიც, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ გახდა მარადონა (ცენტრში) სამხრეთკორეელთა უხეში თამაშის მსხვერპლი.

ᲡᲐᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ხალხთა მეცხრე სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია 37 სახეობის სპორტი, 5 სახეობით მეტი, ვიდრე წინა, მერვე სპარტაკიადაზე იყო. ახალი სახეობებია აკრობატიკა, ბადმინტონი, წყლის თხილამურები, ქალაქობანა და ბატუტი. სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის 23 ქალაქი. სასპარტაკიადო გიმნასტიკა ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე. წლევანდელი სპარტაკიადის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მონაწილეობისთვის დაწესებულია ასაკობრივი ცენზი. მაგალითად, ყველაზე მაღალი ცენზი აქვს (25 წელი) ცხენოსნებს, ტყვიისა და სტენდზე მსროლელებს, მოჭადრაკეებს. ყველაზე ახალგაზრდები იქნებიან (20 წელი) კალათბურთელები, წყალბურთელები, ხელბურთელები და ტანმოვარჯიშენი.

უკვე დაიწყო სასპარტაკიადო შეჯიბრებები კალათბურთში. გთავაზობთ პირველ დღეს ქვეჯგუფებში გამართული მატჩების შედეგებს:

ქალები. ვოლგოგრადი. უკრაინა-ესტონეთი — 71:42, რსფსრ-უზბეკეთი — 84:46; **რიგა.** ლატვია-აზერბაიჯანი — 54:60; **მინსკი.** ლიტვა-ყირგიზეთი — 87:82, ბელორუსია-საქართველო — 97:47; **მოსკოვი.** ლენინგრადი-მოლდავეთი — 88:49, მოსკოვი-თურქმენეთი — 128:32.

ვაჟები. კაუნასი. ყაზახეთი-საქართველო — 79:57; **კიევი.** ლატვია-ყირგიზეთი — 57:56, უკრაინა-მოლდავეთი — 81:48; **ლენინგრადი.** ბელორუსია-ესტონეთი — 73:77, ლენინგრადი-თურქმენეთი — 102:38.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონებს **მაია ჩიბურდანიძეს** და **გარი კასპაროვს** ბარსელონაში საზეიმო ვითარებაში გადასცეს პრიზები „ჭადრაკის ოსკარი“ 1985 წელს მიღწეული შედეგებისათვის. ეს ჯილდოები დაწესებულია საქადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ.

ᲞᲝᲚᲒᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲣᲓᲐᲯᲔᲢᲨᲘ გაიმართა უნგრეთის ჩემპიონატი ჭადრაკში ვაეთა შორის, რომელშიც 16 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. დიდ ინტერესს იწვევდა ამ შეჯიბრებაში ერთადერთი ქალის — 17 წლის ჟუჟა პოლგარის თამაში. დებულების თანახმად, ორი გამარჯვებული მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირებში მონაწილეობის უფლებას იღებდა.

10 ქულით უნგრეთის ჩემპიონის წოდება დიდოსტატმა ფარაგომ მოიპოვა. 9-9 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა ჰაზაიმ და პოლგარმა. მეორე საგზური კოეფიციენტების (ცხრილი უკეთესი მაჩვენებლების გამო ჰაზაის მიეკუთვნა. რაც შეეხება პოლგარს, მან უდავო წარმატებას მიაღწია, შეჯიბრება დაუმარცხებლად წარმართა, 3 პარტია მოიგო და 12 ყაიმით დაასრულა.

უკანასკნელ დღეებში უნგრეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ პოლგარიც ითამაშებს ვაეთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში. უნგრეთს ერთი ადგილი გაუთავისუფლდა დიდოსტატ ადორიანის უარის გამო და მას სწორედ პოლგარი შეცვლის.

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ კონცხზე დამთავრდა საქართველოს საკავშირო ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის (14 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის) ბიჭებისა და გოგონების ტურნირებში 14-14 მოსწავლე იყო. ბიჭებს შორის დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ცხაკაიელმა რომან სარჭინაკამ (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ტყეებურაკა). გოგონთა შორის 11-11 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ქუთაისელმა თეა ლანჩავამ (მწვრთნელი — რაზოვსკი) და ოჩამჩირელმა ეკა კემულარიამ (მწვრთნელი — ჭედია). დამატებითი მონაცემებით, ჩემპიონის წოდება ლანჩავას მიენიჭა.

რედაქტორის მოადგილე
დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲐᲚᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲤᲚᲔᲑᲘᲡ მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი. მან თავის დროზე ბევრი სასიკეთო საქმე მოაგვარა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით იმ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რომლებიც რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცების, სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა შეასუსტა, თითქმის შეწყვიტა მუშაობა და იგი, ცხადია, ვერავითარ გავლენას ვეღარ ახდენდა ჩვენს საერთო საქმეზე, იმ ფუნქციების შესრულებაზე, რომლებიც მას ჰქონდა დაკისრებული. რა თქმა უნდა, საჭირო შეიქნა ინსტიტუტის განახლება, ფაქტობრივად ახლის შექმნა და სამუშაო რეგლამენტის შემუშავება.

სწორედ ამიტომ გუშინწინ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ინტელიგენციის, სახელმწიფო, შემოქმედებითი ორგანიზაციების, პრესის და სხვა უწყებათა წარმომადგენლები სხდომაზე განიხილეს ინსტიტუტის განახლებისა და ორგანიზაციული მუშაობის საკითხები.

სხდომა გახსნა და ინსტიტუტის მომავალ ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ. ინსტიტუტის მომავალი მუშაობის მრავალფეროვან საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ინწკირველმა, მწერლებმა რ. ამაიოშვილმა, ჯ. ამირეჯიბმა, მ. ელიოზოშვილმა, კინორეჟისორმა გ. მატარაძემ და სხვებმა.

სხდომაზე აირჩიეს ინსტიტუტის რექტორატი, შექმნეს სექციები. ინსტიტუტის რექტორად დაამტკიცეს შინაგანი სამსახურის გადამდგარი გენერალ-ლე